ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

განკარგულება:**გ-13. 13260655**

თარიღი:**06/03/2026**

,,ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ'' ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივნისის N50-ე განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი'' საქართველოს კანონის 63-ე მუხლის შესაბამისად,

1. შევიდეს ცვლილება ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ'' ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივნისის N50-ე განკარგულებაში და პირველ პუნქტს დაემატოს „ჰ^{46}“ და „ჰ^{47}“ პუნქტები შემდეგი რედაქციით:

„ჰ^{46}“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება: ავტომანქანა - მაღალი გამავლობის TOYOTA PRADO, გამოშვების წელი 2008, ფერი შავი, (შასი) JTEBU29J40K005528, სახ. N QV-747-VQ;

„ჰ^{47}“ ქალაქ ახალციხეში, ს/კ 62.09.60.1093 საკადასტრო კოდზე მდებარე 77 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60ა).

საბა კბილაშვილი

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი